ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა

ო ქ მ ი #6

26 ოქტომბერი 2020 წელი

ქ.ბაღდათი 15.00 სთ

სხდომას თავმჯდომარეობდა: ირინა ტყეშელაშვილი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომას ესწრებოდნენ

კომისიის წევრები:
ფრიდონ მაჩიტაძე
სიმონ ჭოლოკავა
რუსუდან გეწაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველი შ.შ.მ პირთა საკითხებში: გრიგოლ გრძელიძე
ა.(ა).ი.პ ბაღდათის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრის დირექტორი ნატო მაჩიტაძე
ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი: გიორგი ნერგაძე
სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

სხდომაზე დამსწრე კომისიის ყველა წევრი თანახმაა განიხილონ დღის წესრიგის მიხედვით წარმოდგენილი საკითხები

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ინფორმაცია მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირთა ღირსეული თანაცხოვრებისა და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფისათვის 2020 წლის განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: გოჩა გრძელიძე
თანამომხსენებელი: ირინა ტყეშელაშვილი

2. არასამეწარმო (არაკომერციული) იურირდიული პირი „ბაღდათის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"-ს ხელმძღვანელის ინფორმაცია ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ

მომხს: ნატო მაჩიტაძე
თანამომხსენებელი: ირინა ტყეშელაშვილი

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი1. კომისიის თავმჯდომარემ ირინა ტყეშელაშვილმა წარმოადგინა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ინფორმაცია მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირთა ღირსეული თანაცხოვრებისა და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფისათვის 2020 წლის განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ აღნიშულ საკითხზე მოხსენება გააკეთა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველმა შ.შ.მ პირთა საკითხებში: გოჩა გრძელიძემ

კომისიის წევრი: სიმონ ჭოლოკავამ კითხვით მიმართა გოჩა გრძელიძეს როგორც ვიცი კულტურის სახლში არსებობს შესაბამისი ოთახი რომელიც განკუთვნილია შ.შ.მ პირთა საკითხებზე მუშაობისათვის

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველმა შ.შ.მ პირთა საკითხებში: გოჩა გრძელიძემ უპასუხა სიმონ ჭოლოკავას, რომ კულტურის სახლში არის ოთახი, რომ ელიც გაეროს კონვენციით განკუთვნილია შ.შ.მ პირთათვის და აქ მუშავდება შ.შ.მ პირთა მომუშავე საბჭოზე გასატანი საკითხები

კომისიის თავმჯდომარე: ირინა ტყეშელაშვილმა კითხვით მიმართა გოჩა გრძელიძეს დარჩენილი თანხით რაც ვერ გამოვიყენეთ რა იგეგმება

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველმა შ.შ.მ პირთა საკითხებში: გოჩა გრძელიძემ უპასუხა ირინა ტყეშელაშვილს, რომ ეს თანხები უნდა იყოს გათვლილი რაც არ დახარჯულა ეს მიმართულებები ბევრია მაგრამ უპირველესათ აქცენტი

გვაქვს ოპერაციებზე, ინვენტარზე, სპეც ეტლებზე და თანადაფინანსება ოპერაციებზე განსახილველია საფინანსო სასმსახურთან ერთად სადღაც ნოემბრის შუა პერიოდში მოხდება განხილვა მიმართულებებზე სად რა ხარჯის გაწევა სჯობს

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ინფორმაცია მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირთა ღირსეული თანაცხოვრებისა და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფისათვის 2020 წლის განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ მიიღო ცნობის სახით

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი2. კომისიის თავმჯდომარემ ირინა ტყეშელაშვილმა წარმოადგინა საკითხი: არასამეწარმო (არაკომერციული) იურირდიული პირი „ბაღდათის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"-ს ხელმძღვანელის ინფორმაცია ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა ა.(ა).ი.პ ბაღდათის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრის დირექტორმა ნატო მაჩიტაძემ

ა.(ა).ი.პ ბაღდათის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრის დირექტორი: ნატო მაჩიტაძემ განაცხადა, რომ დღეის მდგომარეობით 190 ადამიანი არის თვითიზოლაციაში და ახლა უმრავლესობა ბინაზეა დატოვებული და ჩართულია მკურნალობის რეჟიმში სოფლი, უბნის ექიმი აქ საჭიროა განსაკუთრებული ჩართ

კომისიის თავმჯდომარე: ირინა ტყეშელაშვილმა განაცხადა, რომ უფრო სირთულეა ამ მიმართულებით რომ პრაქტიკულად კლასტერი აღარ არსებობს და ფიქსირდება შიდა გადაცემები

ა.(ა).ი.პ ბაღდათის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრის დირექტორი: ნატო მაჩიტაძემ განაცხადა, რომ რა თქმა უნდა უფრო მეტად საჭიროა დავიცვათ ყველა ის რეგულაციები რასაც გვეუბნებიან ექიმები შიდა გადაცემები და მით უმეტეს უსიპტომოდ მიმდინარე პროცესები კიდევ მეტ სირთულეებს გვიქმნის სახლის პირობებში თვითიზოლაცია, რომ არ გადაედოს ოჯახის წევრს მეტისმეტად რთულია ყველა საოჯახო თუ პირადი მოხმარების ნივთები უნდა ჰქონდეს ინფიცირებულს თავისი

კომისიის თავმჯდომარე: ირინა ტყეშელაშვილმა კითვით მიმართა ნატო მაჩიტაძეს განკურნების შემდეგ სავარაუდოდ რამდენ დღეში გამოდის ვირუსი ორგანიზმიდან ან თუ ტოვებს რაიმე სახის დაზიანებებს ორგანიზმში

ა.(ა).ი.პ ბაღდათის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრის დირექტორი: ნატო მაჩიტაძემ უპასუხა ირინა ტყეშელაშვილს, რომ ამ საკითხზე მსჯელობა რა სახის დაზიანებებს ტოვებს ორგანიზმში რთული განსასაზღვრია, რისკ ჯგუფები უფრო ასაკოვნებია, სავარაუდოდ 10 დღის შემდეგ ნელ-ნელა უბრუნდება გამოჯანმრთელებული ცხოვრების რითმს

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ

არასამეწარმო (არაკომერციული) იურირდიული პირი „ბაღდათის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"-ს ხელმძღვანელის ინფორმაცია ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ მიიღო ცნობის სახით

სხდომის დღის წესრიგით მიხედვით საკითხი ამოიწურა
სხდომა დახურულად გამოცხადდა

კომისიის თავმჯდომარე: ირინა ტყეშელაშვილი